საქართველოს კანონი
პენიტენციურ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. პენიტენციურ კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 26.12.2023, სარეგისტრაციო კოდი: 100030010.05.001.102169) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 115-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბრალდებულს, აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიების გამო პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შეეზღუდოს მიმოწერის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.“;

2. 116-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ბრალდებულს, აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიების გამო პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილ მსჯავრდებულს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შეეზღუდოს სატელეფონო საუბრის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.“;

3. 119-ე მუხლის მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ბრალდებულს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება შეეზღუდოს ხანმოკლე პაემნის უფლება და ხანგრძლივი პაემნის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.“;

4. კოდექსს დაემატოს 126[1] მუხლი:

„მუხლი 126[1]. ტერორიზმში ან საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვა.

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165[2] მუხლით განსაზღვრული საფუძვლისა და პროცედურების გარდა, მიმოწერის, სატელეფონო

საუბრის, ხანმოკლე პაემნის ან ხანგრძლივი პაემნის უფლება ბრალდებულს ასევე შეიძლება შეეზღუდოს ამავე მუხლით დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVII თავით ან XXXVIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენაში:

ა) ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება შეეზღუდოს მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე პაემნის, ხანგრძლივი პაემნის, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება;

ბ) მსჯავრდებულს, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების/უფლებების გარდა, ასევე შეიძლება შეეზღუდოს ვიდეოპაემნის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება;

გ) ქალ მსჯავრდებულს, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლების/უფლებების გარდა, ასევე შეიძლება შეეზღუდოს საოჯახო პაემნის უფლება.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის იმავე ნაწილით განსაზღვრული უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ან ამ კოდექსის შესაბამისად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით, იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს იმავე ნაწილით განსაზღვრული უფლება/უფლებები შეიძლება შეეზღუდოს 3 თვემდე ვადით. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ უფლების/უფლებების შეზღუდვა უქმდება.

5. თუ ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის მომენტისთვის კვლავ არსებობს უფლების/უფლებების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი ან თუ აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი უფლების/უფლებების შეზღუდვის გაუქმების შემდეგ კვლავ გამოვლინდა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან ამ კოდექსის შესაბამისად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია ეს უფლება/უფლებები იმდენჯერ შეზღუდოს, რამდენჯერაც შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი იარსებებს. ამ შემთხვევაში აღნიშნული უფლება/უფლებები თითოეულ ჯერზე შეიძლება შეიზღუდოს 3 თვემდე ვადით.

6. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ინფორმაცია ისეთი ფორმით უნდა მიაწოდოს, ამასთანავე, პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა თავის შესაბამის გადაწყვეტილებაში ინფორმაცია იმ ფორმით უნდა ასახოს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო საიდუმლოებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს გადაეცემა გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ ადმინისტრაციული წესით საჩივრდება სასამართლოში. გასაჩივრება არ აჩერებს დირექტორის გადაწყვეტილების აღსრულებას.

9. თუ პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო და აღარ არსებობს ამ უფლების/უფლებების შეზღუდვის საფუძველი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების გასაუქმებლად პენიტენციური დაწესებულების დირექტორს მიმართავს, რის შემდეგაც გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი.

10. თუ პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება ამ კოდექსის შესაბამისად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით მიიღო და აღარ არსებობს ამ უფლების/უფლებების შეზღუდვის საფუძველი, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი აუქმებს უფლების/უფლებების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებას.

11. ამ მუხლის დებულებები არ გამორიცხავს ამავე კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული შეზღუდვების გამოყენებას.

12. სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ბრალდებულად ყოფნის პერიოდში შეზღუდული უფლების/უფლებების შეზღუდვის გაუქმებას არ იწვევს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.